

## ტყიბულის მუნიციპალიტეტი

### პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №

XX XXXXX 2023 წ.

ქ. ტყიბული

(რიცხვი, თვე, წელი)

ეს ოქმი გაიცა **XXXXXXXX XXXXXXXXXX** ზე (პ/ნ **XXXXXXXXXXXX**), მცხოვრები ქალაქ **XXXXX** ქუჩა **NXX**, ტელ: **5XX XX XX XX**

(აუქციონში გამარჯვებული (დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი / იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.03.35.221)

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრიდან)

ქონების საწყისი ფასი 42374,10 ლარი

(ორმოცდაორიათასამასამოცდათოთხმეტი ლარი და) ათი თეთრი)

(ციფრული)

(სიტყვიერად)

დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების მიზნით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წლის **XX** აპრილიდან **XX** აპრილამდე მოწყობილ პირობებიან აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის

**XXXX** ლარი

(**XXXXXXXX** ლარი)

(ციფრული)

(სიტყვიერად)

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში - დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი) და მას „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულების პირობით, მიენიჭა უფლება განახორციელოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოები, ვარგისი მეორადი მასალების საკუთრებაში გადაცემის, დემონტაჟის განხორციელების შემდეგ ტერიტორიიდან ნარჩენების გატანისა და მოწესრიგების პირობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში.

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრიდან/ მათ შორის ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე)

- დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია აუქციონზე შემენილი ქონების საფასური (სრული ღირებულების თანხა) გადაიხადოს ოქმის შედეგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე - სახელმწიფო ხაზინა **300273325**
- დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელს გადახდილი „ბე“ ეთვლება ანგარიშსწორებისას.
- დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელს უფლება არა აქვს საკუთრების დადასტურებამდე განკარგოს, დააგირაოს, იპოთეკით ან/და სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.

4. თუ დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის დემონტაჟის სამუშაოების განხორციელებისათვის დადგენილი ღირებულების სრულ თანხას, აუქციონის შედეგები უქმდება და შეტანილი „ბე“ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება.
5. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელის მიერ **ღირებულების სრული თანხის დადგენილ ვადაში გადახდისა და დემონტაჟის პროექტის წარმოდგენის შემდეგ** მას უფლება ეძლევა განახორციელოს დემონტაჟის სამუშაოები, რომელიც უნდა შესრულდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების“ შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით. **დემონტაჟის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია დემონტაჟის პროექტის წარმოდგენა.**
6. ოქმიდან წარმოქმნილი სადაცო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. 1 (ერთი) რჩება აუქციონატორს, ხოლო 2 (ორი) გადაეცემა დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელს.
8. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს ამ ოქმს.
9. ოქმს, რომელიც აუქციონატორთან რჩება, თან ერთვის:
  - ა) იმ შემთხვევაში თუ დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი იურიდიული პირია - დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - უფლებამოსილი ორგანის გადაწყვეტილება.
  - ბ) იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით - წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი:

-----

(ხელმოწერა)

დავით ჩერქეზიშვილი

(სახელი და გვარი)

ბ.ა.

აუქციონში გამარჯვებული პირი (დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი):

-----

(ხელმოწერა)

**XXXXXX XXXXXXXXXX**

(სახელი და გვარი)

ბ.ა.

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟის  
სამუშაოების განხორციელების ნასყიდობის ხელშეკრულება №**

XX XXXXX 2023 წელი

ქ. ტყიბული

(რიცხვი. თვე, წელი)

**მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები**

ტყიბულის მუნიციპალიტეტი (ს/კ 219636259) წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (შემდგომში მესაკუთრე) ერთის მხრივ და **XXXXXX XXXXXXXXX** (პ/ნ **XXXXXXXXXXXX**), მცხოვრები **XXXXXX** ქუჩა **NXX**, ტელ: **5XX XX XX XX** (შემდგომში დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი) მორეს მხრივ, ვდებთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები**

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაცია“, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) 2023 წლის XX.04.2023 12:00 – XX.04.2023 17:00 ლოტის ნომერი **XXXXXX** ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №X (XX აპრილი 2023 წელი) საფუძველზე „მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო „დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი“ იღებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებას - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობას (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების მიზნით.

**მუხლი 3. ხელშეკრულების საგნი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) 2023 წლის XX.04.2023 12:00 – XX.04.2023 17:00 ლოტის ნომერი **XXXXXX** ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №X (XX აპრილი 2023 წელი) საფუძველზე „მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო „დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი“ იღებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებას - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობას (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების მიზნით.

**მუხლი 4. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს აუქციონის პირობები**

1. შესასრულებელი სამუშაოების ფასი **XXXXXX ლარი** /**XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX** ლარი

(ციფრებით)

(სიტყვიერად)

უნდა გადაიხადოს ოქმის შედგენიდან **15 კალენდარული დღის** ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

შემდეგ საბანკო ანგარიშზე: **300273325**

2. ვალდებულებები:

ა. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია აუქციონის პირობების შესაბამისად განახორციელოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. საწირეს თემში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოები, შემდგომში მიღებული ვარგისი სამშენებლო და ვარგისი მასალების (მარაგების) საკუთრებაში გადაცემის საწაცვლოდ. უნდა მოხდეს გამოუსადეგარი სამშენებლო მასალების გატანა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი)თვის ვადაში. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია დემონტაჟის პროექტის წარმოდგენა.

ბ. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელს ქონებაზე სამუშაოების განხორციელების უფლების დადასტურებამდე მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე;

ბ.ა დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის წებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ორი თვის ვადაში.

გ. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება მესაკუთრის მიერ მათი დადასტურების შემდეგ;

დ. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი იღებს წერილობით გაფოთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტებლოს ოდენობა. პირგასამტებლო განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

დ.ა. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელის მიერ ოქმის სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტებლოს ოდენობა შეადგენს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დამოუკიდებელი აუდიტის (ექსპერტის) მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, ქონების დემონტაჟის სამუშაოების შესრულების შემდეგ მისაღები ვარგისი მასალების ღირებულების (61832 ლარი) 0.5%-ს;

ე. ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობა მესაკუთრის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძვლად;

ვ. მყიდველს გადახდილი „ბე“, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ზ. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალების (მარაგები) დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელზე გადაცემის შესახებ გაიცემა თანხის სრულად გადახდისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ;

თ. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი. ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული მალის მქონე ეგზემდარად. ერთი რჩება მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელს;

კ. დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას;

ლ. ხელშეკრულებას, რომელიც რჩება მესაკუთრესთან, თან ერთვის:

1. იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი იურიდიული პირია - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

2. იმ შემთხვევაში თუ დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით - წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

## მესაკუთრე

ტყიბულის მუნიციპალიტეტი ს/კ 219636259

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი:

/დავით ჩერქეზიშვილი/

(ხელმოწერა)

ბ.ა.

დემონტაჟის სამუშაოების შემსრულებელი

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი:

/XXXXXX XXXXXXXX/

3/6 XXXXXXXXXXXX

(ხელმოწერა)